ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის

მუშათა და გლეხთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებული

სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს
საქმეთა მმართველობის გამოცემა

1934 წ. ოქტომბრის 25 № 29 ტ ფ ი ლ ი ს ი

შ ი ნ ა ა რ ს ი

ვაჭრობა. მომარაგება.

226. საქართველოს სსრ-ის შინავაჭრობის სახალხო კომისარიატის და მისი ადგილობრივი ორგანოების მოწყობის შესახებ.

227. დამზადებათა სახელმწიფო გეგმების მიხედვით ხილბოსტნეულის დამზადების მსვლელობის შესახებ.

228. „1930 წლის მოსავლის ხილბოსტნეულის დამზადების სახელმწიფო გეგმის შესახები საქართველოს სსრ ეკონომიური საბჭოს 1934 წ. ივლისის 28-ის დადგენილების დამატების შესახებ.

229. სახელმწიფო გეგმის მიხედვით დანამზადი, 1934 წლის მოსავლის ხილბოსტნეულის გამოხიდვის შესახებ.

230. 1934 წელს ბამბის დამზადებისა და ბამბის გაწმენდის კამპანიისათვის მომზადების შესახებ.

ვაჭრობა. მომარაგება

226. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

საქართველოს სსრ-ის შინავაჭრობის სახალხო კომისარიატის და მისი ადგილობრივი ორგანოების მოწყობის შესახებ.

„შინავაჭრობის სახალხო კომისარიატის რესპუბლიკანური და ადგილობრივი ორგანოების შესახებ“ გამოცემული სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1934 წ. აგვისტოს 23-ის დადგენილების თანახმად (სსრკ ცენ. აღმ. კ-ტის „იზვესტიას“

198 №-ი, 1934 წ. აგვისტოს 24-სა), სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. მოეწყოს საქართველოს სსრ შინავაჭრობის სახალხო კომისარიატი.

2. წინადადება მიეცეს აფხაზეთის ასსრ-ისა და აჭარისტანის ასსრ-ის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს—მოაწყონ ამ რესპუბლიკების შინავაჭრობის სახალხო კომისარიატები.

3. წინადადება მიეცეს სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს—მოაწყოს შინავაჭრობის საოლქო განყოფილება.

4. დამოუკიდებელ საადმინისტრაციო-სამეურნეო ერთეულად გამოყოფილი ქალაქების საქალაქო საბჭოებთან და სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებთან მოწყობილ იქნეს შინავაჭრობის საქალაქო და სარაიონო განყოფილებანი, იმ რაიონების გარდა, რომელთა საქონელბრუნვაც მცირეა; ამ რაიონებში მოეწყოს შინავაჭრობის სარაიონო ინსპექტურები.

წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ შინავაჭრობის სახალხო კომისარიატს, საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატთან და სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილებასთან შეთანხმებით, დაადგინოს იმ რაიონების სია, სადაც არსდება შინავაჭრობის განყოფილებანი, და იმ რაიონების სია, სადაც არსდება შინავაჭრობის განყოფილებანი, და იმ რაიონების სია, სადაც ეწყობა შინავაჭრობის ინსპექტურები, და ხუთი დღის ვადაზე წარუდგინოს ეს სიები დასამტკიცებლად საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს.

5. გაუქმებულ იქნეს საქართველოს სსრ მომარაგების სახალხო კომისარიატი და მისი ადგილობრივი ორგანოები.

ამ კომისარიატისა და მისი ადგილობრივი ორგანოების აპარატი, ამ აპარატის იმ ნაწილის გამოკლებით, რაც მომსახურეობას უწევს რესპუბლიკანური და ადგილობრივი მნიშვნელობის საჭამადო მრეწველობას, გადაეცეს საქართველოს სსრ შინავაჭრობის სახალხო კომისარიატს და მის ადგილობრივ ორგანოებს.

საქართველოს სსრ მომარაგების სახალხო კომისარიატისა და მისი ადგილობრივი ორგანოების ქონება გადაეცეს—კუთვნილებისამებრ—საქართველოს სსრ შინავაჭრობის სახალხო კომისარიატს და მის ადგილობრივ ორგანოებს.

6. მიენდოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს—დაამტკიცოს საქართველოს სსრ შინავაჭრობის სახალხო კომისარიატის სტრუქტურა და შტატები.

7. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს და საქართველოს სსრ შინავაჭრობის სახალხო კომისარიატს—წარუდგინონ ხუთი დღის ვადაზე დასამტკიცებლად საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1934 წელს საქართველოს სსრ შინავაჭრობის სახალხო კომისარიატის შესანახად საჭირო ხარჯთაღრიცხვა.

8. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ შინავაჭრობის სახალხო კომისარიატს—წარუდგინოს ორი თვის ვადაზე საქართველოს სსრ საკანონმდებლო ორგანოებს:

ა) ამ კომისარიატის დებულების პროექტი;

ბ) პროექტი დადგენილებისა საქართველოს სსრ კანონმდებლობაში შესატან იმ ცვლილებათა შესახებ, რაც გამომდინარეობს ამა დადგენილებიდან.

9. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული სასაქონლო ფონდებისა და ვაჭრობის მოწესრიგების კომისია გაუქმებულ იქნეს და ამ კომისიის საქმეები გადაეცეს საქართველოს სსრ შინავაჭრობის სახალხო კომისარიატს.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივნის თ. ა. **ვ. ვაშაკიძე.**

1934 წ. სექტემბრის 5.
ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის" 207 №-ში 1934 წ. სექტემბრის 6.

---

227. დადგენილება ს.კ.ს.

დამზადებათა სახელმწიფო გეგმების მიხედვით ხილბოსტნეულის დამზადების მსვლელობის შესახებ.

ხილბოსტნეულის დამზადება სახელმწიფო გეგმის მიხედვით მიმდინარეობს აშკარად არადამაკმაყოფილებლად:

ა/წ. აგვისტოს 20-თვის დამზადებულია

	გეგმა მე-III კვარტ.	აღსრულება	%
ხ ი ლ ი			
წიპწოვანი	5.390	1.525,3	28,3
კურკოვანი	2.618	1.708	65,2
ბ ო ს ტ ნ ე უ ლ ი			
პამიდორი	7.900	1.292,7	24,4
კიტრი	1.820	653,3	35,9
ხახვი-ნიორი	894	92,4	10,3
ჭარხალი	195	30,4	15,6
კომბოსტო	678	78	11,5
სტაფილო	194	45,6	23,5
სხვა ბოსტნეული	1.484	339,8	22,9
სულ ბოსტნეული . . .	13.165	3.304	25,1

ეროვნული ბიბლიოთეკა

განსაკუთრებით ჩამორჩენილია ბოსტნეულის დამზადების გეგმის აღსრულებაში შემდეგი რაიონები (გეგმასთან შეფარდებით %-ულად):

„საქკონსერვხილბოსტანის“ ხაზით	პამიდორი	კიტრი	ხახვი	ჭარხალი	კომბოსტო	სტაფილო	სხვა	სულ
გორის რაიონი	2,3	26,0	22,7	0,0	6,7	37,5	56,3	7,4
ქუთაისის	52,0	59,7	22,3	12,0	—	0,0	17,8	41,8
სამტრედიის	53,4	66,3	0,0	—	—	—	4,2	27,4
ხონის	0,0	—	—	—	—	—	0,0	0,0
საგარეჯოს	0,0	6,1	0,0	—	0,0	—	—	4,0
„საქხილბოსტანის“ ხაზით.								
ტფილისის რაიონი . . .	17,2	25,5	35,8	42,2	131,4	30,2	—	22,7
ვანის . . . „ . . .	28,0	18,5	0,0	—	—	—	—	10,7
გურჯაანის „ . . .	25,0	22,4	12,0	—	0,0	—	—	10,2
სტალინისის „ . .	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	—	0,0
კასპის . . . „ . . .	0,0	31,3	0,0	—	5,4	—	—	6,8

აღსანიშნავია: ა) არადამაკმაყოფილებელი მუშაობა დამზადებელი ორგანიზაციებისა, რომელთაც ვერ მოახერხეს თავის დროზე გადასულიყვნენ ხილბოსტნეულის დამზადების გაშლაზე;

ბ) დამზადებელი ორგანიზაციების მიერ სრულიად ხელმინებება ხილბოსტნეულის არაპირიან ჩამბარებლების მიმართ, საკონტრაქტაციო ხელშეკრულებებიდან გამომდინარე უფლებათა გამოუყენებლობა (უდავო წესით პროდუქციის ნატურად გადახდევინება და სხვა მისთ.) და აგრეთვე გამოუყენებლობა ნებართვის მიცემის უფლებისა, რომ, მოსავლის მიხედვით, ერთი ბოსტნეული კულტურა შეცვლილ იქნეს მეორე კულტურით;

გ) სარაიონო ორგანიზაციების მიერ მასური ახსნა-განმარტებითი მუშაობის ჩაუტარებლობა და აგრეთვე უყურადღებობა ხილბოსტნეულის მოვლისა და დამზადების საქმისადმი (გორის რაიონში შემჩნეულია პამიდორიან სიმინდის დათესვისა და ყოველგვარი სარეველა ბალახის გახშირების ფაქტები).

ხილბოსტნეულის დამზადების გაძლიერებისა და ამ დამზადების გეგმის მთლად და აგრეთვე ცალკეული კულტურების ხაზითაც—სავსებით შესრულების უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. მიმაგრებულ იქნეს ვადით, ვიდრე გარღვევა გამოსწორებულ იქნებოდეს:

ა) „საქკონსერვხილბოსტანის“ რაიონებზე:

ეროვნული ბიბლიოთეკა

1) ქუთაისის საკონსერვო ქარხნის და მისი ზონის ხაზით—ამხ. ჯიბლაძე,

2) გორის საკონსერვო ქარხნის და მისი ზონის ხაზით—ამხ. ჯიჯავაძე და ალექსიძე (დამზად. კომიტეტის რწმუნებ. საქართვ. სსრ სკს-თან—5 დღით),

3) ყარაია საგარეჯოს რაიონისა და მისი ზონის ხაზით—ამხ. არუთინოვი,

4) ახალციხისა, ადიგენისა და ტოლოშის რაიონებზე საჭიროებისდამიხედვით—ამხ. თევდორაძე;

ბ) „საქხილბოსტანის" რაიონებზე:

1) ტფილისის საგარეთუბნო რაიონზე—ამხ. ბესელიძე,

2) ვანისა და ხონის რაიონებზე—ამხ. ახნაზაროვი,

3) კახეთის რაიონებზე—ამხ. ლატარია და მესხი (დამზადებათა კ-ტის რწმუნ. საქ. სსრ სკს-თან—10 დღით).

2. მიზნად დაესახოს ძირითად დამმზადებელთ და სარაიონო ორგანიზაციებს—აგვისტოს და სექტემბრის გეგმის აღსრულება და წინა თვეებში შეუგროვებელი ნაწილი კიტრისა, პამიდორისა და კურკოვანი ხილის დამზადება სექტემბრის 15-მდე.

3. კვლავ დადასტურებულ იქნეს სარაიონო ორგანიზაციების საყურადღებოდ საქართველოს სსრ ეკონომიური საბჭოს მიერ „1934 წლის მოსავლის ხილბოსტნეულის დამზადების სახელმწიფო გეგმის შესახებ" 1934 წ. ივლისის 28-ს მიღებული დადგენილების (ოქმი № 10, § 18) მე-7 §-ი ერთი საბოსტნე კულტურების (ხახვის გარდა) სხვა კულტურით და ლობიოთი (მარცვლად) შეცვლის თაობაზე, რათა დაფარულ იქნეს გარღვევა კიტრისა და სხვა კულტურების დამზადების ხაზით.

4. დაევალოს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს, მათი თავმჯდომარეების პირადი პასუხისმგებლობით, და ძირითად დამმზადებლებს—სასტიკად ადევნონ თვალყური, რათა კონტრაქტანტებმა შეასრულონ ნაკისრები ვალდებულებანი, და იმ ჩამბარებლებს, რომელნიც ბოროტეულად არ ჩააბარებენ ხილბოსტნეულს, გადაახდევინონ უდავო წესით ვადაზე ჩაუბარებელი პროდუქცია ნატურად; თანაც აღძრან მათ წინააღმდეგ სარჩელი კონტრაქტაციის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგაუტეხლობის ჯარიმის გადახდევინების შესახებ და ბოროტეულად არჩამბარებლების წინააღმდეგ დევნა სისხლის სამართლის წესით სისხლის სამართლის კოდექსის 137 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად. მიენდოს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული დამზადებათა კომიტეტის რწმუნებულს საქ. სსრ-ში იქონიოს მუდმივი მეთვალყურეობა ამა დადგენილების განხორციელებისათვის.

5. კვლავ დადასტურებულ იქნეს დამმზადებელი ორგანიზაციების საყურადღებოდ, რომ დამზადების სახელმწიფო გეგმა ითვალისწინებს 1934 წლის მოსავლის, როგორც საგაზაფხულო, ისე საშემოდგომო-საზამთრო წიპწოვანი ხილის მიღებას.

6. დაევალოს იუსტიციის სახალხო კომისარიატს ამხ. გობეჯიშვილს უზრუნველყოს, რათა სასამართლო ორგანოებისათვის გადაცემული საქმეები სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კონტრაქტაციო ხელშეკრულებების ბოროტეულად დამრღვევთა შესახებ" გასინ-ლულ იქნეს მინიმალურად მოკლე ვადაზე.

7. მიენდოს აფხაზეთის ასსრ-ისა, აჭარისტანის ასსრ-ისა და სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს და აგრეთვე სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს:

ა) მობილიზებულყონ, პურეულისა და სხვა საპირველრიგო დამზადებასთან ერთად, სარაიონო დამმზადებელი აპარატისა და სოფლის აქტივის ყურადღება ხილბოსტნეულის დამზადების გარშემო;

ბ) აკრძალონ ბოსტნებში სარეველა ბალახის გაჩენა და განახორციელონ ბოსტნების თავის დროზე მარგვლა;

გ) შეამოწმონ ხილბოსტნეულის მოსავლის აღება და ჩაბარება უდანაკლი-სოდ და დამზადების გეგმით გათვალისწინებულ ვადებზე.

8. ვინაიდან მეტის-მეტად სუსტად არის დაყენებული დამზადების მსვლ-ლობის აღრიცხვა ყველა დამმზადებელ სისტემაში, განსაკუთრებით კი „ცეკავ-შირის" სისტემაში, დაევალოს ამხ. გუგუშვილს—მოაწყოს სათანადოდ ხილბოსტ-ნეულის დამზადების აღრიცხვის საქმე და გამოყოს დამმზადებელ სისტემაში აღრიცხვისათვის პერსონალურად პასუხისმგებელი პირნი.

9. ნება დაერთოს „საქ. კონსერვხილბოსტანს"—მიიღოს საკონსერვო ასსორ-ტიმენტი არადაკონტრაქტებული ნედლეულისა (კურკოვანი ხილი) ყველა თავის რაიონში დამზადების სახელმწიფო გეგმის პირობაზე (პური, ფული და ფურაჟი) ამ გეგმის ანგარიშში, გორისა და ქუთაისის საკონსერვო ქარხნებში წარ-გზავნით.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **ა. ქავთარაძე.**

1934 წ. სექტემბრის 2.
ტფილისი.

---

228. დადგენილება ს. კ. ს.

„1934 წლის მოსავლის ხილბოსტნეულის დამზადების სახელმწიფო გეგმის შესახებ" საქართველოს სსრ ეკონომიური საბჭოს 1934 წ. ივლისის 28-ის დადგენილების დამატების თაობაზე.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

მე-7 მუხლი შენიშვნებითურთ საქართველოს სსრ ეკონომიური საბჭოს 1934 წ. ივლისის 28-ის დადგენილებისა „1934 წლის მოსავლის ხილბოსტნეულის დამზადების სახელმწიფო გეგმის შესახებ" (ოქმი № 10, § 18) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„7. ნება დაერთვას კოლექტიურ მეურნეობებს, კოლმეურნეებს და ერთ-პიროვნულ მეურნეობებს, მოსავლის მიხედვით, შეცვალონ ერთი ბოსტნეული

ეროვნული ბიბლიოთეკა

კულტურა (ხახვის გარდა) სხვა ბოსტნეული კულტურით ტონა ტონაზე, აგრეთვე შეცვალონ ყველა ბოსტნეული კულტურა (ხახვის გარდა) ლობიოზე მარცვლად იმის მიხედვით, თუ რაოდენი ნათესია და რა პირი უჩანს მოსავალს, შემდეგი კოეფიციენტის კვალობაზე: ხუთ ტონა ბოსტნეულ კულტურაზე (კომბოსტო, ჭარხალი, სტაფილო, პამიდორი და კიტრი) ერთი ტონა ლობიო მარცვლად.

შენიშვნა 1. საკონსერვო და სახილბოსტნეულო ქარხნების ზონებში შეცვლა როგორც ერთი ბოსტნეული კულტურისა მეორე ბოსტნეული კულტურით, ისე ბოსტნეული კულტურებისა—ლობიოთი მარცვლად შეიძლება მხოლოდ აღნიშნული ქარხნების დირექტორთა თანხმობით.

შენიშვნა 2. განისაზღვროს ლობიოს (მარცვლად) შემდეგი სადამზადებლო ფასები:

გურული ლობიო და ცანავა ლობიო	500	მან. ერთი ტონა
წითელი ლობიო	450	„ „ „
ჭრელი ლობიო	400	„ „ „

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **ა. ქავთარაძე.**

1934 წ. სექტემბრის 2.
ტფილისი.

---

229. დადგენილება ს.კ.ს.

სახელმწიფო გეგმის მიხედვით დანამზადი, 1934 წლის მოსავლის ხილბოსტნეულის გამოზიდვის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო აღნიშნავს, რომ მიღმეული ხუნქტებიდან და ქალაქების საგარეთუბნო რაიონებიდან რკინის გზების სადგურებზე და სამომხმარებლო ცენტრებში ხილბოსტნეულის გადაზიდვის საქმე არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია: ა) დამმზადებელ ორგანიზაციებს არა აქვთ ხილბოსტნეულის გადაზიდვის საკალენდრო გეგმები; ბ) დადებული არ არის „სოიუზტრანსთან“ გენერალური ხელშეკრულებანი („საქხილბოსტანი“—მხ. მაისაშვილი) და ლოკალური ხელშეკრულებანი—(„საქხილბოსტანტრესტი—ამხ. მატიტაშვილი, სამომხმარებლო საზოგადოებათა ტფილისის კავშირი, „საქკოოპკვება“ და სხვ.); გ) „ცეკავშირმა“ ვერ შეძლო მოეგვარებია შემოწმება თავისი სისტემის მომზადების ხილბოსტნეულის მიღების და გადაზიდვისათვის („საქკოოპკვება“ და სხვ.) და ვერ გაუწია სისტემას საჭირო დახმარება; დ) გადაზიდვაში ჩაბმული არ არიან კოლექტიური და ერთპიროვნული მეურნეობანი აელშეკრულებათა დადების საშუალებით (ა/კ. რკინის გზების მუშათა მომარა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გების განყოფილების გამოკლებით), რასაც შედეგად მოჰყვა ის, რომ პროდუქტების მასური მიზიდვის დასაწყისშივე მიმღები პუნქტები უკვე გადატვირთულია და პროდუქტები ფუჭდება („საქხილბოსტანი"—გურჯაანში და სხვ.).

მიღმეული პუნქტებიდან რკინის გზების სადგურებზე და საგარეოუბნო რაიონებიდან სამომხმარებლო ცენტრებში ხილბოსტნეულის გადაზიდვის უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცებულ იქნეს დამზადებათა სახელმწიფო გეგმის მიხედვით დანამზადი, 1934 წლის მოსავლის ხილბოსტნეულის რკინის გზების სადგურებზე და საკონსერვო და ხილბოსტნეულის გადამმუშავებელ საწარმოებამდე გადაზიდვის საკალენდრო გეგმა ტონობით:

ა) მთლად რესპუბლიკაში:

	VIII	IX	X	XI	XII	სულ
„საქკონსერვხილბოსტანტრესტის" რაიონებიდან						
საკუთარი ტრანსპორტით	626	520	505	460	—	2.111
„სოიუზ ტრანსით"	2.001	2.073	2.299	1.500	—	7.873
საკოლმეურნეო-საგლეხო ფასიანი ჭაპანზიდვის ტრანსპორტით	221	495	635	430	—	1.781
ჩამბარებლების მიერ სადგურისპირულ პუნქტებზე და საკონსერვო ქარხნებში ჩაბარება	1.756	2.931	2.803	—	—	7.490
ს უ ლ . . .	4.604	6.019	6.242	2.390	—	19.255
„საქხილბოსტანის" რაიონებიდან						
საკუთარი ტრანსპორტით (სხვათა შორის—კლიენტებისაც)	2.075	760	864	450	50	4.199
„სოიუზტრანსით"	985	875	1.060	602	100	3.622
საკოლმეურნეო საგლეხო ფასიანი ჭაპანზიდვის ტრანსპორტით	635	725	1.300	580	—	3.240
ჩამბარებლების მიერ სადგურისპირულ პუნქტებში ჩაბარება	—	—	1,000	148	—	1.148
ს უ ლ . . .	3.695	2.360	4.224	1.780	150	12.209
სულ ორივე სისტემისათვის . . .	8.299	8.379	10.466	4.170	150	31.464

ბ) რაიონებსა და დამამზადებელ პუნქტებში —ამასთანავე დართული ცხრილის მიხედვით.

დაწესებულ იქნეს, რომ გამოზიდვის საშუალებათა გადაჯგუფებამ, რასაც ორგანიზაციების ხელმძღვანელნი მოახდენენ, გავლენა არ უნდა იქონიოს გამოზიდვის თვიური გეგმების ჯამებზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. დაევალოს „საქკონსერვხილბოსტანტრესტს“ (ამხ. მატიტაშვილს), „საქ-ხილბოსტანს“ (ამხ. მაისაშვილს) და „სოიუზტრანსის“ საქართველოს კანტორას (ამხ. ბაგრატიონს)—გააფორმონ ორი დღის ვადაზე, ხოლო არა უგვიანეს 1934 წ. სექტემბრის 2-ისა, ხილბოსტნეულის გამოზიდვის გენერალური ხელშეკრულებანი და თვალყური ადევნონ ლოკალურ ხელშეკრულებათა გაფორმებას დამმზადებლების სარაიონო კონტორებსა, სარაიონო კავშირებსა და „სოიუზ-ტრანსის“ სარაიონო კანტორებს შორის; ამასთანავე, ლოკალურ ხელშეკრულებათა გაფორმება დამთავრებულ უნდა იქნეს არა უგვიანეს სექტემბრის 2-ისა.

3. დაევალოს „სოიუზტრანსის“ ტფილისის კონტორას (ამხ. კალანდაძე) მაქსიმალურად გააძლიეროს მომსახურეობის გაწევა „საქკონსერვხილბოსტანტრესტისა“, „საქხილბოსტანისა“, სამომხმარებლო საზოგადოებათა ტფილისის კავშირისა და „ტფილსახკვებატრესტისათვის“ ქალ. ტფილისში, ხოლო ამ ორგანიზაციებმა განთავისუფლებული ავტომანქანები უნდა წარგზავნონ რაიონებში.

„ტსპოს“ ავტორანსპორტი (3 ავტომანქანა) და „ლსპოს“ ტრახსპორტი (3 ავტომანქანა) ხილბოსტნეულის გადაზიდვის პერიოდში გადაეცეს „საქხილ-ბოსტანს“, მიღებულ იქნეს-რა ანგარიშში „მსპოს“ და „ლსპოს“ მიერ დეცენ-ტრალიზებული წესით დამზადებული პროდუქციის გადაზიდვა.

4. დაევალოს დამმზადებელ ორგანიზაციებს—მაქსიმალურად ჩააბან ხილ-ბოსტნეულის გადაზიდვის საქმეში კოლექტიური მეურნეობებისა, კოლმეურნე-ებისა და ერთპიროვნული მეურნეობების ჭაპანზიდვის ტრანსპორტი გადაზიდ-ვაზე ხელშეკრულებების დადებით.

ჭაპანზიდვის ტრანსპორტით გადაზიდვის სტიმულირების მიზნით წინადა-დება მიეცეს საფონდო კომიტეტის რწმუნებულს საქ. სსრ სკს-თან გამოჰყოს სამრეწველო საქონელი.

საჭიროდ იქნეს ცნობილი, რომ ხილბოსტნეულის დამზადების სტიმული-რებისათვის გამოყოფილი მარცვალფურაჟი მიქცეულ უნდა იქნეს სახელმწიფო გეგმის მიხედვით დანამზადი პროდუქციის გადაზიდვაზე, რის შესახებაც დამზა-დებათა კომიტეტის რწმუნებულმა საქართველოს სსრ უნდა აღძრას საკითხი სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ დამზადებათა კომიტე-ტის წინაშე.

5. ხილბოსტნეულის გადაზიდვაზე მომუშავე ავტომანქანების არსებული პარკის რაციონალურად გამოყენების მიზნით:

ა) დაევალოს „ავტორემმარაგებას“ (ამხ. ორჯონიკიძეს) და „ავტორემ-ქარხანას“ (ამხ. ოდილავაძეს)—ხილბოსტნეულის მოსავლის აღებაზე მომუშავე ავტომანქანები დაარემონტოს და მოამარაგოს სათადარიგო ნაწილების საკმა-რისი რაოდენობით პირველ რიგში;

ბ) ვინაიდან შემჩნეულია ის ფაქტი, რომ დამმზადებელთა ავტოტრანსპორ-ტის მუშაობა ჩერდება გადასახურავ-კამერების ნაკლებობის გამო,—დაევალოს „რეზინოსბიტის“ ა/კ. კონტორის მმართველს ამხ. კალანთაროვს—გამოყოს“

ეროვნული ბიბლიოთეკა

„საქკონსერვხილბოსტანტრესტისა“ და „საქხილბოსტანისათვის“ გადასახურავები და კამერები მაქსიმალური რაოდენობით (80 ცალამდე);

გ) წინადადება მიეცეს „საქკონსერვხილბოსტანტრესტს“ და „საქხილბოსტანს“ მოსთხოვონ თავიანთ საკავშირო ცენტრებს, რათა მათ გამოყონ ა/წ. მე-IV კვარტალისათვის კამერები და გადასახურავები დანაკლი რაოდენობით;

წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ სათბობი მასალის საქმეთა კომიტეტს—გამოყოს ძირითადი დამმზადებლებისათვის სათბობი და საცხები მასალა ისეთი რაოდენობით, რაც უზრუნველყოფს ორ ცვლად მუშაობას ხილბოსტნეულის გადაზიდვის პერიოდში, გამოყოს, სხვათა შორის, ბენზინიც:

	მე-III კვარტ.	მე-IV კვარტ.	ს უ ლ
„საქკონსერვხილბოსტანტრესტისთვის“ . . .	15 ტ.	60 ტ.	75 ტ.
„საქხილბოსტნისთვის“	15 „	60 „	75 „
ს უ ლ . . .	30 „	120 „	150 „

დ) დაევალოს „ნევთტორგის“ საქართველოს კონტორას—უზრუნველყოს ხილბოსტნეულის გამოზიდვის რაიონები სათბობი მასალით ძირითადი დამმზადებლების განაცხადთა კვალობაზე;

ე) დაევალოს დამმზადებელ ორგანიზაციებს—მოაწყონ მუდმივი კონტროლი ავტომანქანების პარკის წესიერად გამოყენებისათვის, თავის დროზე აწარმოონ მიმდინარე რემონტი, ზედმიწევნით აღრიცხონ სათბობი მასალა და შეუწყვეტლივ ებრძოლონ ავტონაწილებისა და სათბობი მასალის გატაცებას და ავტომანქანების არაწესიერად გამოყენებას.

6. გაფრთხილებულ იქნენ ძირითადი დამმზადებელნი და სარაიონო ორგანიზაციები, ხოლო პირველყოვლისა სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების თავმჯდომარეთა მოადგილენი, რომელნიც გამოყოფილ არიან დამმზადებისათვის, რომ ხილბოსტნეულის დამზადების საქმეში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ხილბოსტნეულის გამოზიდვას რაიონების მიმდებარე პუნქტებიდან რკინის გზების სადგურამდე და ხილბოსტნეულის გადამუშავებელ საწარმოებამდე.

სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების თავმჯდომარეთა მოადგილენი, დამზადებისათვის გამოყოფილნი, დაუყოვნებლივ უნდა შეუდგნენ სარაიონო დამმზადებელი კონტორების ტრანსპორტით უზრუნველყოფის საკითხით გამორკვევას, ხოლო შემდგომში უნდა იქონიონ შეუწყვეტელი მეთვალყურეობა ამისათვის და აგრეთვე იმისათვის, რომ მიმღები პუნქტები გადატვირთულნი არ იქნენ საქონლით; თანაც, ხილბოსტნეულის გადაზიდვაში უნდა ჩააბან კოლექტიური მეურნეობებისა, კოლმეურნეებისა და ერთპიროვნული მეურნეობების ჭაპანზიდვის ტრანსპორტი.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **ა. ქავთარაძე.**

1934 წ. სექტემბრის 2.
ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

230. დადგენილება ს.კ.ს.

1934 წელს ბამბის დამზადებისა და ბამბის გაწმენდის კამპანიისათვის მომზადების შესახებ.

1934 წელს ბამბის დამზადების კამპანიის წარმატებით ჩატარებისა, 1934 წლის მოსავლის ნედლი ბამბის დაუცალებლად მიღებისა, შენახვისა, ტრანსპორტირებისა და გაწმენდის უზრუნველსაყოფად, აგრეთვე ბამბის პროდუქციისა და სათესლე ფონდის გასაუმჯობესებლად საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

I. ნედლი ბამბის დამზადება.

1. დაწესდეს 1934 წელს ბამბის დამზადების კამპანიისათვის ორი სტაციონარული დამმზადებელი პუნქტი: ქარხანასთან— შულავერში და ქარხნის გარეშე—ყარაიაში.

2. დაევალოს შულავრის ბამბასაწმენდი ქარხნის დირექციას—უზრუნველყოს 1934 წ. აგვისტოს 15-თვის საწყობებისა, ფარდულებისა, სასწვრებისა, ტარა-ტომრებისა და ბრეზენტების სრული რემონტი.

3. ვინაიდან წინამდგომარე ბამბადამზადების კამპანია შეიძლება უზრუნველყოფილ იქნეს ტარა-ტომრებით მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთუ „საქართველოს ჩაის“ სრულიად საკავშირო ტრესტი დააბრუნებს 14.000 მეტრ რავენდუკს, რაც მან სანათხოვროდ შულავრის ბამბასაწმენდი ქარხნისაგან მიიღო ამიტომ წინადადება მიეცეს „საქართველოს ჩაის“ სრულიად საკავშირო ტრესტს, დირექტორის მოადგილის ამხ. შენგელიას პირადი პასუხისმგებლობით, დააბრუნოს 1934 წლის აგვისტოს 1-თვის აღნიშნული რაოდენობის რავენდუკი.

4. ნედლი ბამბის სათანადოდ შენახვის მიზნით შემსყიდველი პუნქტების ფარდულების ფანერიანი სახურავი შეიცვალოს რკინის სახურავით, რისთვისაც წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატს—ღონისძიება იხმაროს, რათა დაჩქარებულ იქნეს შულავრის ქარხნისათვის 1934 წელს გამოყოფილი რკინის ფონდის მიწოდება.

5. რათა განხორციელებულ იქნეს შულავრის ბამბასაწმენდი ქარხნის მიერ დასახული სამუშაოები ნედლი ბამბის შესანახი ფარდულების და ბეღლისა და აგრეთვე ქარხნის ეზოს მოსაკირწყლავად ბამბის დამზადების კამპანიის დაწყებამდე, საჭიროდ იქნეს ცნობილი ეთხოვოს დეპეშით სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატს—დააჩქაროს ამ მიზნისათვის საჭირო სახსრის მიწოდება 53.000 მან. რაოდენობით, რაც გამოთხოვილია შულავრის ბამბასაწმენდი ქარხნის მიერ, როგორც დამატებითი ასიგნი, სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის სპეციალური შეკითხვის თანახმად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამასთან ერთად, რადგანაც შულავრის ბამბასაწმენდი ქარხნის მუშა-მოსამსახურენი უზრუნველყოფილ არ არიან საცხოვრებელი სადგომებით, განსაკუთრებით დამზადებისა და ექსპლოატაციის სეზონის განმავლობაში, აგრეთვე რადგანაც ამ ქარხანასთან არ არსებობს მოსაცდელი თავშესაფარი ბამბის მთესველებისათვის, ეთხოვოს დეპეშით სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატს —გამოყოს დამატებითი ფონდი 25.000 მან. რაოდენობით მსუბუქი ტიპის ყაზარმის ასაშენებლად ან საქარხნო კლუბებზე მეორე სართულის დასაშენებლად, და 5.000 მან. ქარხანასთან არსებული შემსყიდველი პუნქტის სადგომის ერთი ნაწილის მოსაცდელ თავშესაფარად გადაკეთებისათვის.

6. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატს, შულავრის ბამბასაწმენდი ქარხნის დირექციასთან ერთად, შეამოწმოს ბამბასაწმენდი ქარხნისა და შემსყიდველი პუნქტების საინჟენერო-სატექნიკო მომუშავეთა და მოსამსახურეთა შედგენილობა და იხმაროს ღონისძიებანი ამ შედგენილობის სათანადო კვალიფიკაციის მქონე მომუშავეებით დაკომპლექტებისათვის.

ამასთან ერთად დაამტკიცოს საკურსო ღონისძიებათა გეგმა კადრების გარდამზადებისათვის.

7. წინადადება მიეცეს ბორჩალოს და ყარაიას სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს, წარმართონ, არა უგვიანეს 1934 წ. სექტემბრის 10-ისა, სამუშაოდ შულავრის ქარხანაში და ქარხანასთან არსებულ შემსყიდველ პუნქტში შავიმუშა-დამტვირთველნი—55 კაცი და ყარაიას შემსყიდველ პუნქტში—10 კაცი.

8. მიენდოს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს—შეიმუშაოს ორი დეკადის ვადაზე კონკრეტული ღონისძიებანი წინამდგომარე ბამბის მოსავლის აღების კამპანიის ჩასატარებლად და, კერძოდ, გაითვალისწინოს ღონისძიებანი საქონლის მიშვებით ბამბის ნათესის წახდენის თავიდან ასაცილებლად და მავნებლებთან საბრძოლველად.

II. ბამბის ტრანსპორტირება.

9. ვინაიდან შულავრის ბამბასაწმენდ ქარხანასთან სარკინისგზო ჩიხის შშენებლობისათვის საჭიროა მსუბუქი ტიპის გადასაყვანი (ისრითყვანა), ეთხოვოს ამიერკავკასიის რკინის გზების დირექციას მისცეს ერთი დეკადის ვადაზე შულავრის ბამბასაწმენდ ქარხანას საისრე გადასაყვანი. ამსათანავე, ეთხოვოს დირექციას - უზრუნველყოს ა/წ. აგვისტოს პირველ ნახევარში აღნიშნული სარკინისგზო ჩიხის მშენებლობისათვის საბალასტო მატარებლების მიყენება 150 ბაქნის შედგენილობით.

10. ვინაიდან საბამბე რაიონების გზები და ხიდები ცუდ მდგომარეობაშია, წინადადება მიეცეს ბორჩალოს და ყარაიას სარაიონო აღმასრულებელ კო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიტეტს—შეაკეთონ ყველა არსებული გზა ისე, რომ სამიმოსელოდ ივარგოს ... რისთვისაც ფართოდ გამოიყენონ ადგილობრივი მოსახლეობის შრომა.

პირველ ყოვლისა (ა/წ. სექტემბრის 1-თვის) შეკეთებულ უნდა იქნეს ბორჩალოს რაიონის გზები და ხიდები: ქურტლიარიდან ბამბასაწმენდ ქარხანამდე და ქაჩაგანიდან ბამბასაწმენდ ქარხანამდე; ყარაიას რაიონში: სოფ. ვოიევკიდან—შემსყიდველ პუნქტამდე და ჯანდარიდან—შემსყიდველ პუნქტამდე.

საქართველოს სსრ გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველომ უნდა უზრუნველყოს სათანადო ტექნიკური ხელმძღვანელობით ამ გზების შეკეთებისათვის საჭირო მუშაობა.

11. ნედლი ბამბის მიზიდვის რადიუსი, წარსული წლის მაგალითისამებრ, განისაზღვროს 15 კილომეტრით; ნედლი ბამბის მიზიდვისათვის ამ რადიუსის ზედმეტ მანძილზე გაიცეს სასყიდელი ტონოკილომეტრზე საკავშირო ორგანოების ნორმების მიხედვით (1 მან. და 10 კაპ.).

III. შულავრის ბამბასაწმენდი ქარხნის რემონტი და რეკონსტრუქცია.

12. 1934 წლის მოსავლის ნედლი ბამბის გადამუშავების უზრუნველსაყოფად დაევალოს შულავრის ქარხნის დირექციას—დაამთავროს ქარხნის რემონტი 1934 წ. აგვისტოს 1-თვის და იხმაროს ყველა უაღრესი ღონისძიება რემონტის თვისების გაუმჯობესებისათვის. ქარხნის აპრობაცია მოხდეს ა/წ. აგვისტოს 10-მდე საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის წარმომადგენლის თანდასწრებით.

13. ეთხოვოს აზერბაიჯანის სსრ სახალხო კომისართა საბჭოს—უზრუნველყოს, რათა თავის დროზე შესრულებულ იქნეს აზერბაიჯანის „ზაგოტხლოპკოტრესტის“ მექანიკურ სახელოსნოებისათვის მიცემული შეკვეთა შულავრის ქარხნისათვის სათადარიგო ნაწილების დამზადების შესახებ.

14. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატს—იხმაროს ღონისძიება, რათა შულავრის ბამბასაწმენდმა ქარხანამ მიიღოს 1934 წ. აგვისტოს 15-მდე „სოიუზზაგოტხლოპოკის“ მიერ გამოყოფილი ძრავი 30 ცხენძალიანი.

15. დაევალოს შულავრის ბამბასაწმენდი ქარხნის დირექციას—დადგა ქარხანაში, საექსპლოატაციო სეზონის დაწყებამდე, ათძალიანი ხელის ჯინი საცდელი და საკონტროლო წმენდის მოსახდენად და ნედლეულისა და ბოჭკოს თვისების ლაბორატორიული წესით გამოსარკვევად, და უზრუნველყოს მისი წესიერი და დაუცადებელი მუშაობა.

16. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატს—შეამოწმოს ა/წ. სექტემბრის 1-მდე შულავრის ქარხნისა და შემსყიდველი პუნქტების ხანძრის საწინააღმდეგო დაცვის მდგომარეობა და უზრუნველყოს ქარხანა და შემსყიდველი პუნქტები ხანძრის საწინააღმდეგო ინვენტარით.

17. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულმა სათ-ბობი მასალის კომიტეტმა უნდა უზრუნველყოს შულავრის ბამბასაწმენდი ქარხნის დაუცადებელი მომარაგება სათბობი და საცხები ძასალით მისი განაცხადის შესაბამისად.

IV. ბამბის დასაქონლება

18. მოსავლის აღების პერიოდში ბამბის მთესველების მუშაობის სტიმულირების მიზნით დაევალოს ცეკავშირს—უზრუნველყოს ბამბის მთესველების დასასაქონლებლად გამოყოფილი სამრეწველო და სასურსათო საქონლის თავის დროზე შეზიდვა საბამბე რაიონებში.

19. ბამბის მთესველების მოსამარაგებლად გამოყოფილი ჩაისა, შაქრისა, ზეთისა, საპნისა და ქულა ბამბის ფონდების პირდაპირი დანიშნულებისამებრ გამოყენების მიზნით წინადადება მიეცეს ცეკავშირს—უზრუნველყოს გამოყოფილი ფონდების ბამბის მთესველებამდე მიწვდენა, რისთვისაც აღნიშნული საქონელი გაცემულ უნდა იქნეს მარტოოდენ დამმზადებელი პუნქტების ორდერებით, რასაც ძალა აქვს (სსრ კავშირის შრომისა და თავდაცვის საბჭოს 1934 წ. ივლისის 13-ის თარიღის და 605 №-ის დადგენილების შესაბამისად) ერთი თვის განმავლობაში დღიდან გაცემისა.

20. მიენდოს ცეკავშირს—დაავალოს ბორჩალოს და ლუქსემბურგის რაიონების სასოფლო-სამომხმარებლო საზოგადოებათ—წარუდგინონ საქონლის მოძრაობის ყოველთვიური ანგარიშგება (არა უგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 5-ის რიცხვისა) შულავრის ქარხანას, ხოლო ყარაიას რაიონის სასოფლო სამომხმარებლო საზოგადოებებმა—ყარაიას შემსყიდველ პუნქტს.

21. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ მომარაგების სახალხო კომისარიატს, საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატთან და შულავრის ქარხნის დირექციასთან ერთად, შეიმუშაოს ერთი დეკადის ვადაზე სადამზადებლო კამპანიისა და საექსპლოატაციო სეზონის პერიოდში შულავრის ქარხნისა და შემსყიდველი პუნქტების მუშების (როგორც მუდმივი, ისე სასეზონო) და მოსამსახურეების მომარაგების საკითხი.

V. ბამბის ჩამბარებელთა და შულავრის ბამბასაწმენდი და შემსყიდველ პუნქტების მუშათა კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურეობა.

22. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს—დააკომპლექტოს ბამბის მოსავლის აღების კამპანიის დაწყების წინ—ა/წ. სექტემბრის 15-თვის—საბამბე რაიონებში არსებული მედიკო-სანიტარულ დაწესებულებათა ქსელი (ბორჩალოს რაიონში—8 პუნქტი, ყარაიას რაიონში—7 პუნქტი და ლუქსემბურგის რაიონში—3 პუნქტი) საჭირო სამედიცინო პერსონალით, მოამარაგოს იგი მედიკამენტებით და დამატებითი რაოდენო-

ბის ქინაქინით და მთავარი ყურადღება მიაქციოს ბამბაზე მომუშავეთათვის სამედიცინო მომსახურეობის გაწევას მინდვრებში, მოძრავი სამედიცინო პუნქტების მოწყობით.

23. ამისდა შესაბამისად წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს:

ა) წარმართოს საბამბე რაიონებში ბამბის მოსავლის მასური აღების პერიოდში (ოქტომბერ-ნოემბერი) ორი სამკურნალო ბრიგადა: ერთი—ბორჩალოს და ლუქსემბურგის რაიონებისათვის მომსახურეობის გასაწევად, მეორე—ყარაიას რაიონისათვის;

ბ) დააკომპლექტოს არსებული საბავშვო ბაგათა და საბავშვო ბაქანთა ქსელი სათანადო პერსონალით და მოამარაგოს საჭირო ინვენტარით.

24. დაევალოს ცეკავშირს—მოაწყოს შულავრის ბამბასაწმენდ ქარხანასთან და ყარაიას შემსყიდველ პუნქტთან სასადილო-საჩაიები ბამბის ჩამბარებელთათვის მომსახურეობის გასაწევად შესყიდვის კამპანიის პერიოდში. ამ მიზნით წინადადება მიეცეს ბორჩალოს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტს—მიუჩინოს საამისოდ შულავრის სადგურზე აშაგა-სერალის კოლექტიური მეურნეობის ჩაიხანას სადგომი, ხოლო ყარაიას შემსყიდველი პუნქტის გამგემ—სადგომი შემსყიდველ პუნქტთან.

25. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ მომარაგების სახალხო კომისარიატს—გამოყოს ცეკავშირის განკარგულებაში, აღნიშნული სასადილოების—ბაჩაიების უზრუნველსაყოფად 25.000 დღე-კაცისათვის შემდეგი რაოდენობის სროდუქტები: შაქარი—1,25 ტონა, ჩაი—25 კილოგრამი, ხორცი—2,5 ტონა, პრინჯი—2 ცენტნერი, მაკარონი—$1^1/_2$ ტონა და ცხიმეული—5 ცენტნერი.

26. დაევალოს შულავრის ბამბასაწმენდი ქარხნის დირექციას—უზრუნველყოს სადამზადებლო კამპანიის პერიოდში ბამბის ჩამბარებელთათვის კულტურული მომსახურეობის გაწევა ქარხნის კლუბის მეშვეობით.

27. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატს და შულავრის ბამბასაწმენდი ქარხნის დირექტორს ამხ. ქერიმოვს—წარმოუდგინონ საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1934 წ. სექტემბრის 15-თვის მოხსენება ამა დადგენილების განხორციელების შესახებ.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **ა. ქავთარაძე.**

1934 წ. აგვისტოს 8.
ტფილისი.

ფასი 40 კაპ.

გამომცემელი საქ. სსრ ს. კ. ს-ოს / საქმ. მმართველობა 1934 წ. № 57 პ/მ. რედაქტორი **ე. გამრეკელი**

ქაღალდის ფორმატი 62×94 სანტ.; 1 ბეჭდვ. ფურც.; 1 ბეჭდვ. ფურც. 48.500 სტამბ. ნიშანი.

გადაეცა სტამბას 5/IX, ხელმოწერილია დასაბეჭდად 21/IX. ტირაჟი 1.600.

მთავლ. რწმ. ს.—№ 84. საქ სსრ სახალხო კომისართა საბჭოს სტამბა. შეკვ. № 1463.